№ 33

ორშაბათი, 21 მარტი

გაზეთის ფასი დამატებით: წლიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. 50 კაპ., თვეში 1 მანეთი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія".

ცალკე ნომერი 3 კაპ.

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 33

ორშაბათი, 21 მარტი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედ. საზ.-ბის სახლში.

ტელეფონი № 922.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჯარო ბიბლიოთეკა

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია"

1905 წ. გამოდის ყოველ-დღე, ორშაბათობითაც.

წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: „ივერიის ბიბლიოთეკა", რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული სურათები და ილლუსტრაციები.

გაზეთის ფასი: 1 მარტიდან წლის დამლევამდის 8 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედიტო საზოგადოების სახლში (მესამე სართულში).

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверія".

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

პ. ი. ჭიჭინაძე. კბილის—8—9 საათ.

გ. გ. მაღალაშვილი. შინაგანი. ოთხშაბ. 9—10 საათამდე და კვირაობით 9—11 საათ.

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა 9½—10½ ს.

ნ. ტ. მუღინი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.

პ. დ. ღამბაშიძე.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.

პ. მ. მანსვეტოვი.—შინაგ. და ბავშვ. 12—1 ს.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი და ნერვებისა 12—1 ს.

ექ. **ქალი მ. ქ. იოსელიანი.**—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ქ. ნ. დიასამიძე. — ვენერიული და კანისა 12½ 1½ საათ.

ს. ს. ალექსი-მესხიშვილი.—ხირურგია 1—2.

საღამოს:

ს. ი. ვაჩნაძე.—შინაგ. 6—7 საათამდე.

ოპერაციების გაკეთება შეუძლიანთ გარეშე ექიმ-ხირურგებსაც.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით, კრავატები დღეში ღირს 2-დან სამ მანათამდე. საზოგადო ნომერი—5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი), სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

ტელეფონი № 274.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. ყ. ჩიქოვანი —9 საათიდან 10 საათამდე—თვალის შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

გ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ექიმი ქალი **ა. ე. შჩერბინინა**—1½—2 საათ.—ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

საღამოობით:

პ. ა. არდაზიანი—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს, (მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ქ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра **Навасардіана.**

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

ბძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი № 13.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათისა.

ვაჩნაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 საათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლი № 157.

ქართლის ამბები

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

საჲ. გომი. 19 მარტს, საღამოს 8½ საათზე, სოფელ ალში ადგილობრივ ჩარჩის ჯანოევის შეშას, სოფლის გარედ საჟენებად დაწყობილს, ცეცხლი წაუკიდეს. ზარების რეკა ასტყდა და მთელი სოფელი გაიქცა ცეცხლის ჩასაქრობად. ცხრა საჟენიდან ოთხი საჟენი გადაარჩინეს. ჯანოევი სახლში არ არის. ყველანი: მღვდლები და გლეხები დარწმუნებულნი არიან, რომ შეშას ცეცხლი ჯანოევის კაცმა წაუკიდა. დაწვრილებით ხვალ მოგიწერები.

რ—ბ—ლი.

—

ლიახვის ხეობა. 9 მარტს, დილის ათ საათზე, დ. ცხინვალის საზოგადოებამ თავი მოიყარა ლიახვის ნაპირად მდებარე ჭალაში, სადაც ჰქონდათ რჩევა-თათბირი შესახებ იმ კითხვებისა, რომლებიც ქვეყნის უმწეო მდგომარეობამ დღეს მთელის რუსეთის იმპერიაში საჯაროდ წამოაყენა. ამ გარემოებამ ადგილობრივ ბოქაულის ყურამდის მიაღწია, რომელმაც მეორე დღეს დაიბარა ხალხი და შეეკითხა: „რაზედ გქონდათ გუშინ ჩუმი ყრილობაო, და „უბრძანა": — „გამოცხადდით ყველა სოფლის კანცელარიაში და, ჩემის თანადასწრებით, თქვენში ამორჩეულმა პირებმა ილაპარაკონო"... ამ „ბრძანებას" ხალხმა არავითარი ყურადღება არ მიაქცია და არც ზემოხსენებულ კითხვაზე მისცა პასუხი. მხოლოდ ერთხმად დაიძახეს: „არ გვინდა ჩვენ პოლიცია, რადგანაც „საპოლიციო" ჩვენ არაფერი გვაქვსო. პოლიციის დასწრება ჩვენს ყრილობებზე უადგილოა... ჩვენი გულის ტკივილები სულ სხვაა და არა იმ ჩივილ-წუწუნს შეადგენს, რაც დღემდის იყოო. ამ სიტყვებით ხალხი დაიშალა, მაგრამ ლიახვის მოედანზე ისევ უცბად შეიკრიბა, რომლის რიცხვი 1,500 მეტს აღემატებოდა. აქვე აირჩიეს 16 კაცი, რომელთა შორის 4 ქართველია, 4 სომეხი, 4 ოსი და 4 ებრაელი. ამ პირებს დაავალეს, რომ ამ დღეებში მომავალ კომისიას გამოუცხადონ ყოველივე მათი გაჭირვება, ილაპარაკონ დღევანდელ მათი მდგომარეობის შესახებ და შეიმუშაონ ყოველივე ის კითხვები, რომლების განხორციელებას რუსეთის იმპერიაში თხოულობენ. შემდეგ ამისა ხალხმა გიმოსწია ბაზრისაკენ, გამოიტანეს ეკკლესიის დროშები და ყველა ქუჩები სიმღერითა და „ძმობა-ერთობის" ძახილით მშვიდობიანად ჩამოიარეს. უწესობა არა მომხდარა-რა. ნაშუადღევის ორ საათზე კრება დაიშალა და ყველა საქმეს დაადგა...

კვირას, 13 მარტს, სოფ. დგვრისის მინდორზე თამარაშენის საზოგადოებისა და ზოგიერთ შინდისის სოფლებიდან ხალხს თავი მოეყარა და ცხინვალში ჩამოსვლას აპირობდა, მაგრამ, როცა გაიგო, რომ ცხინვალში უწესობა არ მომხდარა, ამორჩეულ პირთა წინამძღოლობით დგვრისის ეკკლესიასთან მოვიდა. თავმოყრილთა რიცხვი 15 ათასს აღემატებოდა. ზოგიერთმა ამორჩეულმა პირმა ხალხის დასამშვიდებლად წარმოსთქვა სიტყვები ქართულად და ოსურად. ხალხი თხოულობდა: არ გვინდა მამასახლისი, მწერალი, აქციზი, სტრაჟნიკები, რომლებმაც სული ამოგვაცალეს, გაგვაღატაკეს.—ცოლ-შვილი შიმშილ-სიცივით, უექიმო-უწამლოდ გვეხოცება, პირიდან უკანასკნელ ლუკმას გვგლეჯენ და ისიც კიდევ პოლიციის მათრახის ცემა-ტყეპით, დარბევა-დაწიოკებით. აღარ შეგვიძლიან მოვითმინოთ, მუდამ მწუხარება, მუდამ ტირილ-შიმშილი, სიცივე, უექიმო ავადმყოფობა და უზიარებლად სიკვდილი ავიტანოთო. მართალია, დღემდის, როგორც სხვებს, გვთმენია ყოველივე მწუხარება, მაგრამ, რა-კი სხვა ქვეყნებში ჩვენსავით ტანჯულებმა დაჰკრეს ზარი თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესებისა, ჩვენც იმ ზარის ხმისაკენ მივიწევთ, იმ ზარის ხმა გვაღვიძებს. იყო დრო—ყურებში ბამბა გვქონდა, სიბნელის მორევში ვცურავდით, ქვეყანა ჩალით დახურული გვეგონა და მთავრობაც ჩვენის უვიცობით სარგებლობდა, მაგრამ ახლა კი გამოგვეფხიზლდა და ჩვენც ახლა მოვითხოვთ ყოველსავე იმას, რაც ჩვენსავით სხვა ქვეყნებში ტანჯულებს მიენიჭებათ... ძალიანაც რომ გვინდოდეს ჩვენის შვილების სწავლა-განვითარება—საიდან უნდა ვასწავლოთ, როდესაც ჩვენ ნაოფლარს ხელიდან გვტაცებენ: მებატონე, მღვდელი, აქციზი, მამასახლისი, მწერალი და ნალოგები! რომელ ერთ-ერთ მოთხოვნილებას გასცეს პასუხი ჩვენის ოფლით მონაწურმა? გვინდა სკოლა უფასო, სამშობლო ენაზე სწავლა, თვითმმართველობა! გვინდა თავისუფლება, მშვიდობიანობა, სულის მობრუნება!.. „გაუმარჯოს თავისუფლებას, ერთობას, ძმობას—მეგობრობასა"-ო. გაფიცვის შემდეგ მანიფესტანტებმა გამოიტანეს დგვრისის ეკკლესიიდან ბაირაღი, დასდეს პატიოსანი სიტყვა, არ მოეხდინათ არავითარი უწესობა და წამოვიდნენ ცხინვალისაკენ, აქ ყველა ქუჩები სიმღერით ჩამიარეს, არსად უწესობა არ მოუხდენიათ, მხოლოდ, როდესაც მოვიდნენ მომრიგებელ-მოსამართლის სახლთან, უეცრივ ალყა შემოარტყეს და მომრიგებელ-მოსამართლეს წერილით შეუთვალეს: „თუ ამ წუთშივე არ მოშორებულხარ ცხინვალს, დაუყოვნებლივ სიკვდილით დაისჯებიო"... დაუქირავეს ფაიტონი და ტფილისს გაისტუმრეს. ხალხმა იგი განდევნა, როგორც ხალხის შემაწუხებელი ადამიანი. შემდეგ ხალხი მშვიდობიანად დაიშალა.

სუჯუნელი.

—

ს. შინდისი (გორის მაზრა). 12 მარტს მამასახლისი და მწერალი გავიდნენ ლიახვს გაღმა ს. კარალეთში მომრიგებელ-შუამავალთან და მოახსენეს „ბუნტის კაცი" მოვიდა და სოფელი დელავსო. მომრიგებელმა-შუამავალმა შემოთვალა, ხვალ მე თვითონ გამოვალ შინდისში და ხალხმა პირადად მომახსენოს, რაც მოთხოვნილება აქვს და ყველაფერს შევუსრულებ, თუ წესიერება იქნებაო; ამასთან ვსთხოვ ყველას, არავის რა ავნონ, მშვიდობიანად იყვნენ და უფრო ბევრს მოიგებენო. მეორე დღეს, კვირას, ხალხი კანცელარიასთან შეგროვდა, მაგრამ მოლოდინი გაუცრუვდა. მომრიგებელმა-შუამავალმა მობრძანება არ ინება. ხალხმა ეს იწყინა, იგრიალა და კანცელარია სულ ერთიანად მიილეწა, კანცელარიის გვერდზე სამრევლო სკოლაა გამართული. მასწავლებელ ქალს გ. ედილაშვილისას თავაზიანად სთხოვეს, აქედან წადით და, ისიც გავიდა. გამოიტანეს სკოლის სკამები, მაგიდები და მიილეწმოილეწეს. კარი, ფანჯრები და დარაბები სულ გაანადგურეს, შემდეგ დაიშალნენ.

ოთხშაბათს, 16 მარტს, საღამოს, ეკლესიაზე ზარი ჩამოჰკრეს და „დაარისხეს", ე. ი. ზარის რეკვით ყველას აცნობეს მეორე დღისათვის მუშაობა აკვეთნათ და ყველანი ეკლესიასთან შეგროვილიყვნენ სათათბიროდ. მართლაც, მეორე დღეს, ეკლესიასთან დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. სხვა სოფლებიდანაც ძალიან ბევრნი მოვიდნენ.

დიდებული სანახავი იყო ამ მოზღვავებულ ხალხის კრება. სწორედ დაშქრობას მოგაგონებდათ.

გორის მაზრის გლეხთა მოძრაობის ისტორიაში მარტო აქ იჩინა თავი ერთმა დიდად საყურადღებო ფაქტმა. ეს გახლავთ თავ.-აზნაურთა და გლეხთა სრული სოლიდარობა, რაიცა შეიძლება მხოლოდ იმითი აიხსნას, რომ აქაური თ.-აზნაურნი ბევრად უფრო გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან, ვიდრე გლეხნი-გარდა თითო-ოროლა თავადისა. საყურადღებოა ის, რომ ერთს სოფლიდან ხალხს თვით ერთი გაღარიბებული თავადი მოუძღოდა წინ ბაირაღით ხელში.

ეკლესიასთან დიდი ბჭობა გაიმართა. ორატორები უფრო თავად-აზნაურნი იყვნენ, რომელთაც ხალხი ლაპარაკის დროს თანაგრძნობას უცხადებდა. ამ დროს ფაიტონით ხალხთან მივიდა შეძლებული მემამულე ზ. ფავლენიშვილი და შესჩივლა, მუქარის წერილი მომივიდა, გადასწვას მიპირობთო. აი წერილიცაო. ხალხმა დაუძახა, შენი პირადი მტერი იქნება ვინმე, ჩვენ არაფერ შუაში ვართ, ან იქნება ეგ წერილი შეთხზულია.

შეგხედოთ, საიდგანღაც, ცხინვალის ბოქაულიც გაჩნდა სტრაჟნიკით. ბოქაულის ბძანებით სტრაჟნიკები შორიახლო გამწკრივდნენ და თოფები მოიმარჯვეს. ბევრი გლეხთაგანი გაიქცა შიშის გამო. თ.-აზნაურნი უყვიროდნენ, დადექით, ნუ გეშინიათ, ცხრა კაცი ამდენა ხალხს რას დაგვაკლებსო, და როგორც იყო, რამდენიმე გლეხი ძლივს გააჩერეს. სისხლის ღვრამდე არ მისულა. ბოქაული სტრაჟნიკებით წავიდა და ხალხიც მშვიდობიანად დაიშალა.

უჩიოობის მოთხოვნილებანი მომეტებულ ნაწილად იგივეა, რასაც გორის მაზრის სხვა სოფლებიც თხოულობენ.

ს. შინდელი.

დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

19 მარტი.

სარატოვი. 18 მარტი. გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი ოფიციალური ცნობა: ქალაქის თეატრში წაიკითხეს ხოლერის შესახებ სახალხო ლექცია, რომელსაც 2 ათასი მსმენელი დაესწრო. ლექციების შემდეგ, კერძო ვექილმა კალმანოვიჩმა და ნაფიცმა ვექილმა გუბერნიკმა სთხოვეს პოლიცმეისტერს, ნება მოგვეცით დღევანდელ საჭირ-ბოროტო კითხვებზე სიტყვა წარმოვსთქვათო. რადგან ეს საკითხი ლექციების პროგრამაში არ იყო აღნიშნული, ამიტომ პოლიცმეისტერმა, გუბერნატორის განკარგულებით, ვექილებს უარი უთხრა, კრება დასურულად გამოაცხადა და ფარდის ჩამოშვება მოითხოვა. ასტყდა ხმაურობა, მოისმა ყვირილი: «ძირს პოლიცია»! თეატრიდან ხალხის გასაყვანად გამოიწვიეს ორი როტა; სანამ ჯარი მოვიდოდა ლოჟებიდან და ქანდარიდან პროკლამაციები ცვიოდა და ორატორები სარევოლიუციო სიტყვებს ამბობდნენ. შემდეგ ხალხმა თეატრს თავი მიანება და მარსელიეზის სიმღერით ალექსანდროვის ქუჩისაკენ გაემართა. აქ წინ ჯარი გადაეღობა. ხალხმა ხუთჯერ გაისროლა რევოლვერი, მაგრამ ტყვია არავის მოხვედრია. დაატუსაღეს 39 კაცი. ორი ორატორი თავიანთ ბინაზე დაიჭირეს. იმ ადგილას, სადაც ხალხს ჯარმა ალყა შემოარტყა, იპოვეს სარევოლიუციო წიგნაკები და პროკლამაციები. დატუსაღებულთ, როგორც გუბერნატორის სავალდებულო დადგენილების დამრღვეველთ, მცველები მიუჩინეს.

მეშხედი, 19 მარტი. ამ მარტს მეშხედში მღელვარება თავდაპირველად სომხების წინააღმდეგ იყო მიმართული. შემდეგ მღელვარებამ იმატა და ყველა ევროპიელის მდგომარეობაც საშიშო შეიქმნა. გუბერნატორის მეცადინეობით ცარცვა-გლეჯა არა ხდება. ახლა ქალაქში სრული სიმშვიდეა.

ლოძი, 19 მარტი. პოლიცმეისტერის თანაშემწეს შატალოვიჩს ყუმბარა ესროლეს, რომელიც მძიმედ დააჭრა ფეხსა და მკერდში. იქ მდგომმა პოლიციელმა ხმლით დამნაშავე სასიკვდილოდ დასჭრა თავში. აფეთქების ახლო-მახლო სახლებში ფანჯრები დაამტვრია, ხოლო ვინც სახლებში იყვნენ, სკამებიდან ჩამოვარდნენ. ყუმბარამ ქვაფენილზე ამოაღრმავა ორმო 7 ფუტი სიღრმით და 12 ფუტი ირგვლივ. შალატოვიჩი ცოცხალია. დამნაშავე მოკვდა. მსუბუქად დაიჭრა ერთი კაცი და ორი ქალი.

პსკოვი, 19 მარტი. მოწაფეების ცემა-ტყეპის საქმე გაირჩა; ბრალდებულნი გაამართლეს.

მოსკოვი, 19 მარტი. ახალ სესხზე ხელის მოწერამ რიგიანად ჩაიარა.

სიმფეროპოლი, 19 მარტი. მელიტოპოლის ქალაქის საბჭომ იალტაში, მომხდარ არეულობის გამო გადასწყვიტა შეადგინოს ქალაქის დამცველი რაზმი.

ზიდლეცი, 19 მარტი. დროებითი სამხედრო სასამართლომ განაჩენი გამოუტანა მეოთხე საარტილერიო პოლკის 56 ჯარის კაცს, რომელთაც ყაზარმებში უწესობის მოხდენა და სამხედრო მთავრობის წინააღმდეგობა ბრალდებოდათ. ერთ ებრაელს და სამ პოლონელს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, სამს პატიმართა განყოფილებაში გაგზავნა, 35-ს გადაუწყვიტეს დისციპლინარული ბატალიონი და საპყრობილე წლი-ნახევრიდან სამი წლის ვადით, 13 გაამართლეს.

რომი, 18 მარტი. ნეაპოლში ვილჰელმის მოსვლას ოფიციალური ხასიათი ექნება. იმპერატორს ტიტტონი და ფორტისი მიეგებებიან.

სტამბოლი. პორტამ გადასწყვიტა წინააღმდეგობა გასწიოს და ელტაზარის დაჭერაზე პროტესტი განაცხადოს.

ათინა. კუნძულ კრიტზე აჯანყებულთა რიცხვი 3 ათასამდეა. დელიანისის რჩევით, მეფემ ინახულა კრიტელ მეამბოხეთა მეთაური პალაგეორგი.

ბერლინი. გერმანიაში ეშინიათ იმპერატორის მოგზაურობის შესახებ ანგლიის პრესის მიერ მოულოდნელად ატეხილ განგაშისა. ჰფიქრობენ, ინგლისს სურვილი აქვს საფრანგეთთან დაახლოვებისა. მგონი გადაწყვეტილია კიდეც, რომ ინგლისის ესკადრა ბრესტში მივა, ხოლო საფრანგეთისა კი—ინგლისში.

სტამბოლი. ხმა დადის, კრიტის გენერალ-გუბერნატორის უკმაყოფილო დასმა გამოაცხადა საბერძნეთთან შეერთებაო. უწესოება მოხდა და მოკლულ იქმნა ორი ჟანდარმი. ოსმალეთში შიშობენ, ვაი თუ სუდის ნავთსადგურში მდგომმა ინგლისის ფლოტმა, ვითომდა მცხოვრებთა დასამშვიდებლად, უკვე მომზადებული ჯარები გადმოსხასო.

პეტერბურგი. ოფიციალური. გასულის წლის 12 დეკემბრის უმაღლეს ბრძანების მეექვსე მუხლის სისრულეში მოსაყვანად მინისტრთა კომიტეტის 8 მარტის სხდომის საგანგებო ჟურნალში სწერია: შინაგან საქმეთა მინისტრმა აცნობა მინისტრთა კომიტეტს, რომ ხსენებულმა სამინისტრომ შემდეგი ღონისძიებანი მიიღო: 1) 26 თებერვალს გამოვიდა უმაღლესი ნება, რომ დაბრუნებულ იქმნას ციმბირში გადასახლებული 72 მწვალებელი, რომელნიც იმიტომ გადაასახლეს, რომ უარი განაცხადეს სამხედრო ბეგარის მოხდაზე და თავიანთ ნებით გაუქმეს 1896 წლის 5 აგვისტოს უმაღლესი ბრძანება; 2) ადგილობრივ სათანადო მთავრობის მოხელეებს ეუწყათ, რომ სახელმწიფოს დაცვის დებულების მე 34 მუხლის თანახმად სარწმუნოებრივ დანაშაულობათა გამო დასჯილი 34 კაცი და 1880 წლამდე გამოცემულ განკარგულებათა ძალით დასჯილი 253 კაცი, მინისტრთა კომიტეტის 1884 წლის დადგენილებით დასჯილი ცხრა კაცი, სახელმწიფოს დაცვის დებულების მე-16 მუხლის თანახმად, ან კავკასიის მთავარ-მართებლისა და თურქესტანის გენერალ-გუბერნატორის საგანგებო უფლება-უპირატესობის ძალით დასჯილი 36 კაცი—განთავისუფლებულ იქმნენ; 3) ეუწყათ ადგილობრივ სათანადო მთავრობის მოხელეებს, რომ პოლონეთიდან რუსეთის შიდა გუბერნიებში გადასახლებული 142 ბერძენ უნიატი განთავისუფლებულ იქმნა; აგრეთვე განთავისუფლებულ იქმნენ პოლიციის ზედამხედველობისაგან ამავე კატეგორიის დამნაშავენი, რომელნიც დაასახლეს პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ პრივისლიანის მხრის სხვადასხვა ადგილებში, სულ 16 კაცი; 4) ამა წლის 19 თებერვლის ცირკულიარით ეცნობა გუბერნიების უფროსებს: ამიერიდან არცერთმა საადმინისტრაციო დაწესებულებამ და თანამდებობის კაცმა თავის ნებით არ შეავიწროვოს ვინმე სარწმუნოების გამო კანონის გარეშე და რომ სარწმუნოებრივ საქმეებზე არ ვრცელდებოდეს სახელმწიფოს გაძლიერებულ დაცვისა და პოლიციის ზედამხედველობის წესები; დაუყოვნებლივ უნდა მოისპოს ყველა საქმე, რაც კი აღძრულა ამ წესების მიხედვით და ახლაც წარმოებაშია; განთავისუფლებულ უნდა იქმნას ადმინისტრაციის განკარგულებით პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ მყოფი ყველა ადამიანი და ყველას უნდა მიენიჭოს უფლება იცხოვროს იქ, სადაც თვითონ მოისურვებს, და საზოგადოდ უნდა მოისპოს ყველა სასჯელი და შევიწროვება, შინაგან საქმეთა სამინისტროს ან ადგილობრივ მთავრობის დაწესებულებათა უფროსების განკარგულებით შემოღებული. დაუყოვნებლივ უნდა გაანთავისუფლონ ყოველისავე შევიწროვებისაგან ისინი, ვინც ყოფილა გადასახლებული სარწმუნოებრივ მიზეზთა გამო ადგილობრივ ადმინისტრაციის განკარგულებით; უნდა გამოარკვეს, ვინ იმყოფება პოლიციის ზედამხედველობას ქვეშ ხელმწიფოს განკარგულებით ან ვისა აქვს უფლება-უპირატესობანი შეზღუდული ხელმწიფოსავე განკარგულებით, დაუყოვნებლივ უნდა წარდგენილ იქმნას მათი სია შინაგან საქმეთა სამინისტროში, რათა მათ შესახებ ეხლავე სისრულეში იქმნეს მოყვანილი ამა წლის 11 თებერვალს უმაღლესად დამტკიცებულ მესამე მუხლი მინისტრთა კომიტეტის დადგენილებისა. ამის შემდეგ კომიტეტს მოახსენა, რომ იუსტიციის სამინისტრომ 2 მარტს გამოითხოვა უმაღლესი ნებართვა, რომ 278 დუხობორი განთავისუფლებულ იქმნას იმ სასჯელისაგან, რომელიც ჯერ კიდევ მოუხდელი აქვთ და რომელიც გადაწყვეტილი ჰქონდათ უმაღლესის განკარგულებით 1897 წ. 30 აპრილს; ხსენებული სამინისტრო შუამდგომლობს აგრეთვე, რომ სრულებით ეპატიოს სასჯელი 4 მწვალებელს, რომელნიც უნდა დასჯილიყვნენ სარწმუნოებრივ დანაშაულობათა გამო ადმინისტრაციის განკარგულებით. გარდა ამისა, იუსტიციის სამინისტრომ ეხლავე მიიღო საჭირო ღონისძიებანი, რათა ცნობაში მოყვანილ იქმნას, თუ სარწმუნოებრივ დანაშაულობის რომელი საქმე ყოფილა დღემდე წარმოებაში; ყველა ამ საქმეებზე უნდა მოისპოს გადაწყვეტილი სასჯელი.

ტანჟერი, 19 მარტი. გერმანიის ახალშენის წარმომადგენელს იმპერატორმა სიტყვით მიმართა და უთხრა: მოხარული ვარ ისეთ თავისუფალ მხარეში, როგორიც არის მაროკკო, გერმანიის ვაჭრობის და მრეწველობის პირველ წარმომადგენლებს რომ ვხედავო.

ბერლინი, 19 მარტი. „ბერლინელი ტაგებლატი" დელკასეს სიტყვას არჩევს და ამბობს: ძლიერ მკაცრის კილოთი ითქვა ეს სიტყვა, მაგრამ იმაში ნათლად სჩანს ორატორის სურვილი დააკმაყოფილოს, როგორც გერმანიის, ისე საფრანგეთის ინტერესები.

რომიდან დეპეშით იუწყებიან—როდესაც გერმანიის დედოფალი ტაორმინის ციხეს ათვალიერებდა, ფეხი გადაუბრუნდა და იტკინა.

პარიზი, 19 მარტი. ბევრი პოლიტიკოსი იმ აზრისაა, რომ გერმანიის დამოუკიდებელი ეკონომიური პოლიტიკა მაროკოში შეიძლება წინააღმდეგი გაუხდეს ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებას. დელკასემ ახლავე გაითვალისწინა ეს, რითაც დიდი შეცდომა მოუვიდა; ამ შეცდომის გასწორება მომავალში ძალიან ძნელი იქნება. რუსეთმა საფრანგეთის ქარხნებს ორი ათასი ვიწრო ლიანდაგის ვაგონი და ას-ოცდა ათი ლოკომოტივი შეუკვეთა. ამ ამბავმა აქ სიამოვნებით მიეგებნენ.

კოსტრომა, 19 მარტი. ხელის მოწერა ახალ სესხზე კარგად მიდის. რამდენისამე საათის განმავლობაში ხელი მოაწერეს ნახევარ მილიონ მანათზე.

ადესა, 19 მარტი. იალტაში მომხდარ უწესოებათა გამოსაძიებლად წავიდა ადესის სასამართლო პალატის ბრალ-მდებელი.

ტომსკი, 19 მარტი. გააკრეს სავალდებულო განცხადება, რომლითაც აკრძალულია კრებები: საკრებულო დარბაზებსა, კერძო სახლებსა და ეზოებში.

ყაზანი, 19 მარტი. „ვოლჟსკი ლისტოკი" იუწყება: მარტის 24—31-მდე მომრიგებელი მოსამართლე განიხილავს ქუჩებში ნოქრების-მიერ მომხდარ „დემონსტრაციებს". ნოქრები მაღაზიების დაკეტვას თხოულობდნენ.

პეტერბურგი, 19 მარტი. როგორც ხაზინაში შეკრებილ ცნობებიდანა სჩანს, ახალი შინაური სესხის საქმე ძალიან კარგად მიდის.—სამშაბათს ბეჭდვითი საქმის საზოგადოებაში განიხილავენ საკითხს კვირა-უქმე დღეებში ბეჭდვითი საქმის მუშაკთათვის თავისუფლების მინიჭების შესახებ.

პეტერბურგი, 19 მარტი. ოფიციალური. რო-

გორც გავიგეთ, 18 მარტს, მინისტრთა კომიტეტის განსაკუთრებულ სხდომაზე განუხილავთ საკითხი: სასწავლებლების აწინდელ მდგომარეობის შესახებ დიდი ლაპარაკი გამოიწვია შეკითხვამ: გაგრძელდეს სწავლა უმაღლეს სასწავლებლებში, თუ არაო? სწავლის გასარძობის მომხრე სხდომაზე თითო აღმოჩნდა. მოწინააღმდეგეთ უთქვამთ, ფაქტიურად ეხლა ყველა სასწავლებელი დაკეტილია, სწავლა შეწყვეტილია, ამიტომ რა უფრო კარგი იქნება: გავხსნათ სასწავლებლები და მით უფრო გავამწვავოთ საქმეები, როგორც წარსულ წლებში, თუ ისევ დაკეტილები დავტოვოთო. კერძო კრებამ უკანასკნელი აზრი მიიღო გადაწყვეტილია, მომავალ შემოდგომაზე გაიხსნას სასწავლებლები მოსწავლეთა დაუსჯელად და თუ მაშინაც სწავლა არ დაიწყება, ან დაიწყება და ისევ მალე შესწყდება, მაშინ ყველა სტუდენტები დათხოვნილ იქმნებიან; პროფესორებსაც ისევ დასტოვებენ და უნივერსიტეტის წეს-წყობილება ძირიანად შეიცვლება; სახელმწიფოს სხვადასხვა საჭიროებათა მიხედვით ახლო წესდების შეიმუშავებენ. ეგზამენების შესახებ კითხვა ასე გადასწყდა: ეგზამენები მოხდება სასწავლებლებში კი არა, არამედ სახელმწიფოს სათანადო დაწესებულებებში. დაბოლოს კრებამ დაადგინა: მომავალ აკადემიურ წლის პირველი ნახევარი აღიარებულ იქმნას აწინდელ სასწავლო წლის მეორე ნახევრად; შემდეგ მომავალ მეორე ნახევარში ისე უნდა განაწილდეს სასწავლო პროგრამა, რომ ამ ორ წელიწადში აღდგენილ იქმნას სწავლის ნორმალური მსვლელობა. ყველა ამას სხდომა თანაგრძნობით მიეგება.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

19 მარტი.

ვაშინგტონი, 19 მარტი. „ტაიმსის“ ცნობა, ვითომც რუზველტი ზავის ჩამოგდების შესახებ შუამდგომლობდესო, როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, სიმართლეს მოკლებულია.

ნიუ-იორკი, 10 მარტი (რეიტერი). იაპონიის ახალ სესხზე ამერიკაში ხელი მოუწერიათ 500 მილიონ დოლარისა.

ლონდონი, 19 მარტი (რეიტერი). იაპონიის საელჩომ ტოკიოდამ მიღებული ოფიციალური ცნობა გამოაქვეყნა: ხაილუნიდან, რომელიც გირინზე 87 მილითაა დაშორებული სამხრეთ-დასავლეთით, ადგილობრივი მკვიდრი მოვიდა. იგი ამბობს, რუსებმა პოლკოვნიკ მოდიტოვის წინამძღოლობით ხაილუნის სამხრეთ ადგილებისკენ. დაიხიეს. იაპონელები გირინში იკრიბებიანო.

ლონდონი. „მორნინგ პოსტ“-ის იაპონელი კორესპონდენტი ირწმუნება, მტკიცე საფუძველი მაქვს განვაცხადო, რომ ყველა ის ხმები, ვითომც იაპონიამ უკვე გადასდგა თვალსაჩინო ნაბიჯი ზავის ჩამოსაგდებად და რუსეთს თვისი პირობები კიდეც წარუდგინა, ყოველსავე საფუძველს მოკლებულია. „ნათლად სჩანს, განაგრძობს ხსენებული კორესპონდენტი, იაპონია ახლა იმდენად კარგს მდგომარეობაშია, რომ თამამად შეუძლიან გადასდოს თვისი მოთხოვნილებანი კორეია და მანჯურიის შესახებ, იმისდა მიუხედავად,—ზავი ჩამოვარდება თუ არა. რუსეთი, როგორც ძალზე დამარცხებული ქვეყანა, იძულებული იქნება ყველაფერში დაეთანხმოს იაპონიას, თუ კი ეს უკანასკნელი ზავს მოისურვებს. თუ რუსეთმა საკმაო მსხვერპლი არ გასწირა და არაფერი დაუთმო, ისე ზავი ვერ ჩამოვარდებაო.

ვაშინგტონი. თუმცა უარჰყოფენ იმ ცნობას, ვითომც რუზველტი შუა-კაცად იყოს არჩეული ომის შესაწყვეტად, მაგრამ ეჭვი არაა, რომ მოლაპარაკება მაინც სწარმოებს ამის თაობაზე. სრული სიმართლეა, რომ იაპონიის ელჩი და პრეზიდენტი თათბირობდნენ ზავის პირობებზე და რომ ვაშინგტონის ზოგიერთი პოლიტიკოსები ამავე საგანზე ეთათბირებოდნენ პრეზიდენტს. მოთხოვნილებათა რიცხვში, რასაკვირველია, კონტრიბუციაც ურევია. ამბობენ, იაპონია მოთხოვნილებათა ამ მუხლს არაფრის გულისათვის არ შეცვლისო. საფრანგეთის ელჩი ჟიუსსერანი დღეს რუზველტთან იყო და ნახევარ საათს ესაუბრებოდა.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

ომის ამბები. ტოკიოდან ოფიციალურად იუწყებიან, რუსებმა ხაილუნჩენს თავი მიანებეს და გირინისკენ იწევენ. იაპონელები გირინში (თუ გირინთან?) იყრიან თავსაო. ეს ძალიან საყურადღებო ცნობაა, რადგან, როგორც დეპეშიდან სჩანს, იაპონელებს გენ. რენენკამფისა და ლინევიჩის (ეხლა კუროპატკინის) ლაშქრებისთვის გზა მოუჭრიათ. რუსები მხოლოდ ამ დღეებში დაძრულან ხაილუნჩენიდან, რომელიც გირინიდან 150 ვერსით მდებარეობს სამხრეთ-დასავლეთით (რ.).

ტყვე რუსები იაპონიაში. იაპონელი ჟურნალისტები ხშირად ნახულობენ პორტ-არტურელ ტყვეებს და ელაპარაკებიან. ტყვეების შესახებ იაპონური გაზეთი „ასასი“ სწერს: ჩვენ, იაპონელებს ყველაზე ძალიან ის გაგვიკვირდა, რომ ტყვე რუსები ყველას გულახდილად ელაპარაკებიან პორტ-არტურის შესახებ, არაფერსაც არ მალავენ. ამ ლაპარაკიდან ნათლად გამოირკვა, რომ პორტ-არტურში მეზღვაურთა და ხმელეთის ჯარის უფროსებს განუწყვეტელი შუღლი და ჩხუბი ჰქონიათ. რუსეთის ადმირალები ამტკიცებენ, ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, რომ შორეულ აღმოსავლეთში რუსეთის ფლოტი გაცილებით სუსტია იაპონიისაზე და ამიტომ ომს უნდა ვერიდოთ; მაგრამ ომის მომხრე დასმა ყურიც არ მოგვაქცია, ომი დაიწყო და ამიტომ ჩვენი დამარცხებაც ამ დასის ბრალია. ხმელეთის ჯარის აფიცრები თავიანთ ამხანაგებს, მეზღვაურებს, ცუდად იხსენიებენ და ამტკიცებენ, ჩვენმა მეზღვაურებმა ვერც სიმამაცე გამოიჩინეს და ვერც ცოდნა. ჩვენ,—ამბობენ ხმელეთის აფიცრები,—მეზღვაურების მაგივრად რომ ვყოფილიყავით, ინიციატივას ხელში ჩავიგდებდით, დავიხოცებოდით და ფლოტს კი ტყუილ-უბრალოდ არ დავაღუპვინებდით. ეს აფიცრები მეზღვაურებს დასცინიან, მასხარად იგდებენ და ამბობენ, ჩვენმა მეზღვაურებმა ტყუილად მისცეს იაპონელებს პატიოსანი სიტყვა, ბრძოლაში მონაწილეობას აღარ მივიღებთო, რადგან, სულ ერთია, აქამდის უამისოდაც არ იბრძოდნენო. გარდა ამისა, ტყვეების ნალაპარაკევიდან გამოირკვა, რომ ადმირალები და გენერლები ციხის ჩაბარებისა და დანებების წინააღმდეგნი იყვნენ. ისინი ამბობენ, იაპონელებს ერთ თვეს კიდევ გაუმაგრდებოდით, დიდ ხანს მივაყენებდით და გენ. ნოგის ჯარს მარშალ ოიამას არ მივაშველებინებდითო. ციხის ჩაბარება მარტო გენერალმა სტესელმა და იმის შტაბის უფროსმა გადასწყვიტეს და ეს ამბავი მეციხოვნე ჯარს მხოლოდ მაშინ შეატყობინეს, როცა საქმე გათავებული იყო. გენერალი ფოკი გულჩახვეულია და ხმას არ იღებს; სამაგიეროდ, გენერალი სმირნოვი სტესელს ისეთი სიტყვებით იხსენიებს, თითქო იმის მოსისხლე მტერიაო. ჩვენ, იაპონელები,—სწერს გაზეთი,—რუსებს პატივისცემით ვიხსენიებდით, სანამ ისინი ციხეს იცავდნენ, «მაგრამ ეხლა, როცა ყველაფერი გავიგეთ, რუსებს პატივს აღარა ვცემთ და დავრწმუნდით, რომ რუსები უნდა დამარცხებულიყვნენ და მომავალშიაც დამარცხდებიან» (ნ. ვ.).

რად მარცხდებიან რუსები. პირველი და უმთავრესი მიზეზი რუსების განუწყვეტელ დამარცხებისა ის არის,—სწერს ცნობილი სამხედრო საქმის მცოდნე პოლკოვნიკი გედკე,—რომ რუსეთის სალდათს ამ ომის მიზანი და აზრი არ ესმის. იაპონელ სალდათს კი, პირიქით, ეხლანდელ ომის აზრი და მიზეზი მშვენივრად ესმის და სავსებით აქვს გათვალისწინებული. ზოგიერთა დაკვირვებული და ღრმად ჩახედული გერმანელი პუბლიცისტი სწერს: ეს ომი რუსეთისთვის აუცილებელია, საჭიროა და სახალხოა. ეს ომი საჭიროა არა მარტო დიდ ოკეანეში გასასვლელ კარების საშოვნელად, არამედ ციმბირის დასახლებისა და მომავლისთვისაც. შორეულ-აღმოსავლეთის პოლიტიკაში შორსმჭვრეტელობის სიმართლე მთლად რუსეთის რადიკალების მხარეზეა. მაგრამ რუსეთის მთავრობის ბრალი იმაშია, რომ ომი დაიწყო და ხალხი კი არ გაანათლა, არ ჩააგონა სკოლის საშუალებათ, რომ მანჯურია რუსეთისთვის საჭიროა (?), საჭიროა ისე, როგორც გერმანიისთვის იყო საჭირო ელზას-ლოტარინგია (?). რუსეთმა ამ საქმეს ყურადღება იმიტომ არ მიაქცია, რომ არსებული ბიუროკრატიული სისტემა ამის ნებას არ აძლევდა. ეს სისტემა ხალხს არწმუნებდა, რომ პოლიტიკურ საქმეების გადაწყვეტა არ არგებს, რადგან, სულ ერთია, ჩვენ, ბიუროკრატები, ხელის ერთი მოქნევით, ვისაც გინდათ გავანადგურებთო. მთავრობას ეგონა, მართლა ძლიერი და უძლეველი ვარო, მაგრამ ამ სისტემას ის მოჰყვა, რომ ხალხი ომის გათავებას ყვირის და თავის მთავრობისა არაფერი ესმის. ამიტომაც არის, რომ რუსეთის სალდათი ისე არ არის გატაცებული და აღფრთოვანებული, როგორც იაპონელი სალდათია (ნ. ვ.).

ერთს გერმანელ აფიცერს „ნ. ვ.“-ს თანამშრომლისთვის უთქვამს: მაშ ესრე, მუკდენშიაც დაამარცხეს რუსები, მაგრამ, წარმოიდგინეთ, ეს ამბავი სულაც არ გამკვირებია. თქვენ, რუსები სწორედ რომ უნდა დამარცხებულიყავით. მე თვითონ ვნახე რუსების უკან დაწევა ლიაოიანიდან, სადაც რუსებმა რამდენსამე მილიონად ღირებული სახელმწიფო საქონელი დასწვეს. მერე რატომ? იმიტომ რომ მატარებლები გენერლების ქვაბებით, სკამებით, მაგიდებით, ტახტებით, ძაღლებითა და ლოგინით იყო სავსე, სახელმწიფო საქონელს კი ცეცხლი წაუკიდეს. აბა, როგორ უნდა დაგემარცხებინათ იაპონელები მუკდენთან, როცა ისიც კი არა გაქვთ შეგნებული, რომ ყოველი სალდათი ზნეობრივად მოვალეა სახელმწიფოს წინაშე პასუხის მგებელი იყოს (ნ. ვ.).

ახალი ამბავი

✦ ქალაქის საქმეების ზოგიერთა მოიჯარადრეებს უარი განუცხადებიათ გამგეობისთვის, **ვეღარ შევასრულებთ ჩვენ-მიერ ნაკისრ საქმეებსა**, რადგანაც ზოგიერთა ალაგას მუშებმა ხელი აიღეს სამუშაოზე და ვინც მუშაობს, ისინიც სამუშაო ფასის მომატებასა თხოულობენო.

✦ **ტფილისის ნოქრებს** ნოქართა საზოგადოების თავმჯდომარესთვის **უთხოვნიათ**—დანიშნეთ ნოქართა საზოგადო კრება, რომ ჩვენის ყოფაცხოვრების გაუმჯობესობაზე მოვილაპარაკოთო

✦ ქალაქის ქუჩების მოსაკირწყლავ **ქვის მტვრეველ მუშებს** შუამდგომლობა აღუძრავთ, გამგეობამ სამუშაო ფასი მოგვიმატოსო. ამასთანავე სთხოვენ ზაფხულობით ქალაქმა რომელიმე ცარიელ ადგილას გააკეთოს უბრალო ფარდულები და იქ მოეწყოს ქვის სამტვრევები.

✦ შაბათს, 16 მარტს, **თავად-აზნაურთა კერძო კრებაზე**, რომელსაც ტფილისის გუბერნატორის მოადგილე ბ-ნი ალიშევსკიც დაესწრო, სხვათა შორის, აღიძრა საკითხი, რომ თავის დასაცველად ძთავრობამ თავად-აზნაური შეიარაღოს. ამაზე ბ-ნ ალიშევსკის უთქვამს, **თავად-აზნაურთა შეიარაღება გლეხკაცობის წინააღმდეგ** გამოიწვევს ისეთს შუღლს ამ ორ წოდებათა შორის, რომელიც სასურველი არ არის არც მთავრობისთვის და არც თავად-აზნაურებისთვისო. ამას შემდეგ თავად-აზნაურთა დეპუტაცია მთავარმართებლის მოადგილე გენ. მალამასთან წავიდა.

✦ თანხმად ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის პედაგოგიურ საბჭოს დადგენილებისა, დღეს, 21 ამ თვეს, **ხსენებულ სასწავლებელში აქამდე შეწყვეტილი სწავლა უნდა დაიწყოს**. უკანასკნელ კრებაზე სასწავლებლის საბჭოს გარდაუწყვეტია, წელს ხსენებულ სასწავლებელში მოწაფეთა გამოცდა 1 თიბათვემდე დაასრულოს. საზაფხულო პრაქტიკული მოწმობა უფროსი კლასის მოწაფეებს წელს აღარ ექნებათ.

✦ ვუშინწინ, 19 მარტს, ტფილისის ვაჭართა საკრებულოში შესდგა **ქართველის ვაჭარხაზეინთა საზოგადო კრება**, რომელსაც სამოცი-და-ერთი კაცი დაესწრო. კრებაზე შეეხნენ იმ საგნებს, რომლებიც ამ რამდენისამე დღის წინად ჩვენს გაზეთში იყო აღნიშნული, ე. ი. მოისპოს უწმაწური სიტყვა-პასუხი, მუშტრების დაძახება, ზედ მეტის დაფასება და სხ. აგრეთვე საჭიროდ დაინახეს თავიანთის ნოქრების მდგომარეობის გაუმჯობესობა, რათა იმითი გააქარწყლონ ამ ბოლო ხანებში ჩამოვარდნილი უკმაყოფილება ხაზეინთა და ნოქართა შორის. ყველა ზემორე კითხვების უკედ შესამუშავებლად კრებამ დანიშნა ხუთი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელშიაც ამორჩეულ იქმნენ: ს. ი. ფორაქაშვილი, ა. ი. ამირაღოვი, ს. გ. ფარეშაშვილი, გიგუზოვი და ალიხანოვი. მათი კანდიდატები: ტერ-გრიქუროვი, კაჭკაჭევი, ბადინოვი, ზასილოვი და ტერ-ოჰანეზოვი.

✦ **გუშინ საქართველო-იმერეთის სინოდალურ კონტორაში შემდეგი ამბავი მოხდა:** ერთი დედა-კაცი შეუვარდა მოხელეებს და ლანძღვა-გინება დაუწყო: „აქამდე სიარულით დამტანჯეთ, მოწმობა არ მომეცით და **ახლა**, როცა ჩემი შვილი ციხეში ჩასვეს, თქვენი მოწმობა თავში იწყვიტეთო! ჩემი შვილის უბედურობის მიზეზი თქვენა ხართო: რადგან დროზედ ნათლობის მოწმობა არ მომეცით, ბაშფორთი არავინ მოგვცაო. უბაშფორთოდ კი საქმეს ვერ დაადგა. უსაქმობამ ჩემი შვილი ისე გააფუჭა და გარყვნა, რომ კაციც კი შემოიკლაო“. უნდა შევნიშნოთ, რომ სინოდალური კონტორა მართლა მეტის-მეტად აჭიანურებს ნათლობის მოწმობის მიცემასა.

✦ გუშინ, 20 მარტს, სომეხთა ტაძარში ვანქში, **მოწაფეთა მეთაურობითა** და დიდძალი ხალხის თანადასწრებით, **პანაშვიდი გადაიხადეს ქრისტეფორე მიქაელიანის** სულის მოსახსენებლად. სიტყვები წარმოსთქვეს ქართულად და სომხურად. თითქმის ყველა სიტყვას ხალხი აღტაცებით მიეგება.

პრესსა

გაზ. „ვეჩერნაია ფოსტაში“ № 691 სწერია კავკასიისა და მის გამარუსებლების შესახებ შემდეგი:

> „ვინ უნდა გაარჩიოს კავკასიის საქმეები?—საზოგადოებამ, თუ პირად ხელუხლებლობის იმედი ექნება, ჟურნალ-გაზეთობამ, თუ მიენიჭა სრული თავისუფლება, სასამართლომ, თუ მისი კარები საზოგადოებისთვის არ იქმნა დახშული. უნდა მოვგლიჯოთ ის ფარდა, რომელიც ამდენი ხნის განმავლობაში უმალავდა ყველას კავკასიის ნამდვილ მდგომარეობას, უნდა მოისპოს ცხოვრების შემბოჭველი პირობებიც, რომელიც სტანჯავდა ხალხს ამ ორმოცდა ათი წლის განმავლობაში. დაყოვნებაც არ შეიძლება, ვინაიდან აღელვებულა კიდეც ტფილისი, ქუთაისი, ერევანი, გროზნა და სხვა ქალაქებიც. უნდა დავამშვიდოთ კავკასიელ მკვიდრთა ამაყი გული, უნდა დავამშვიდოთ კავკასიელნი, რომელნიც შესცქერიან ელბრუსის, ყაზბეგისა და არარატის მთებს, როგორც წარსულ უმწიკვლო სახელის, რაინდობის სიმბოლოს, „უცხო ძალთაგან“ კავკასიის მფარველთ. ასეთ „უცხო ძალებად“ მიაჩნია კავკასიის მკვიდრ ხალხსა „გამარუსებელთა“ პოლიტიკა. ამ „გამარუსებლებმა“ არა საიმედო პირებად გამოაცხადეს სომხები, სპარსელები, გერმანელები, ყველანი ვინც რუსი ან მართლმადიდებელი არ არის. ეს გამარუსებლები კითხულობდნენ დამორჩილებულ ხალხთა სულში და ცდილობდნენ საერთოდ, რომ ეროვნული გრძნობა მოესპოთ ყველას გულში. ცდილობდნენ, რომ ქართველის გულში ამოეფხრათ ქართულის სიყვარული, სომხისაში—სომხურის... გამარუსებლებისათვის ამ მიზნის მისაღწევად საჭირო შეიქმნა სხვადასხვა ეროვნების გადამტერება ერთმანეთზე... ეს პოლიტიკა აშკარად ეტყობოდა აქ და ამავე პოლიტიკამ შეჰქმნა ველიჩკო, რომელიც რაღაც სიამოვნებას ჰგრძნობდა ხოლმე რიცდესაც მოახერხებდა სხვადასხვა ეროვნების გადამტერებას ერთმანეთზე... მძიმე ასატანი დრო იყო ის დრო კავკასიისთვის“.

წერილის ავტორი ამბობს, ათ წელიწადზე მეტი გამიტარებია კავკასიაშიო, და ჰპირდება მკითხველებს შემდეგ ნომრებში გააცნოს „გამარუსებლების“ მოქმედება და ოინები.

რუსეთი

ხარკოვიდან იუწყებიან, ქალაქში ამჟამად **აუარებელი თავად-აზნაურობა და მემამულენი ჩამოვიდნენო** ყველას მამულებისთვის მიუნებებიათ თავი და ქალაქში გადახვეწილან. მიზეზი—გლეხების მოძრაობაა, რომელმაც ამ ბოლოს დროს რუსეთში საშიშარი სახე მიიღო. კურსკის, კიევის, ვორონეჟის, სარატოვისა და ნიჟეგოროდის გუბერნიებიდან გლეხების მოძრაობა ხარკოვის გუბერნიაშიც გადავიდა. მემამულეები დაფრთხალან. საბუთებსა და სხვა ქაღალდებს თავად-აზნაურობა ნოტარიუსის კანტორებში აბინავებს. ხარკოვის თოფი-არაღის მაღაზიებში თურმე ერთს რევოლვერს ვეღარ იშოვით. სულ გაყიდულა. თოფ-იარაღის ქარხნებს ამჟამად მრავალი რევოლვერი და თოფები აქვთ შეკვეთილი (რ. ვ.).

გლეხების მოძრაობამ თავი იჩინა, ვლადიმირის და ორლოვის გუბერნიებშიაც (რ. ვ.)

ფინლიანდიის სეიმის წოდებათა კრებებზე ცხარე ბაასი იყო: სასულიერო წოდება, თავად-აზნაურობა, გლეხობა ყველა ერთხმად თხოულობდა—წელს სამხედრო ბეგარა ფინლიანდიამ არ გადიხადოსო. თავად-აზნაურთა კრებაზე ვ. რამზაიმ განაცხადა, ის ყმაწვილი კაცი, რომელიც ჯარის კაცად არ გავა, თავის მოქალაქობრივ მოვალეობას სამშობლოს წინაშე პირნათლად შეასრულებსო. ორატორის აზრით, ფინლიანდიის იდეალის განხორციელება იქნება, „არც ერთი ფინლიანდელი ყმაწვილი კაცი ბეგარის გადასახდელად რომ არ გამოცხადდესო“. ყველაზე გაბედულად ფელიკს ხეივედი ლაპარაკობდა, რომელიც ამტკიცებდა, რომ სამხედრო ბეგარის არსებული წესის უარყოფა არამცთუ შეგვიძლიან, არამედ ჩვენი პირდაპირი მოვალეობა არისო; გინდაც სეიმმა მოიწონოს ეს წესდება, მის შესრულებას ფინლიანდელებს ვერავითარი ძალა ვერ აიძულებსო (რ. ვ.).

უმაღლესი რესკრიპტის „განხორციელების“ ნიმუში: როგორც ვიცით, უმაღლესმა რესკრიპტმა ნება დართო ყველას, კერძო პირთაც კი, გამოსთქვან თავის აზრი სახელმწიფო წესწყობილების შეცვლის შესახებ. ამ უფლებით ისარგებლა იურიდიულმა საზოგადოებამ და რამდენისამე მოხსენების განხილვის დროს თავის კრებებზე ეხლა, როგორც „რუსი“ იუწყება, იურიდიულ საზოგადოებას აეკრძალა სჯა-ბაასის განგრძობა. ვ.).

ღამის დეპეშები

20 მარტი.

პეტერბურგი. დაახლოვებით ნაანგარიშევია, რომ მუკდენთ 5 დაჭრილთათვის საჭიროა დამზადდეს 40,000 საწოლი. ყოველ-დღე შორეულ-აღმოსავლეთიდან ორი სასანიტარო მატარებელი უნდა გზავნონ, თითოში 400 კაცი მოთავსდება. წარმოუდგენელია შორეულ მანჯურიაში დაჭრილთ რიგიანი მოვლა და გულშემატკივარი მზრუნველობა არა ჰქონდეთ. რუსეთის წითელის ჯვრის საზოგადოების გამგე კომიტეტი ყველასა სთხოვს დახმარებას—ბინით, შეწირულობით, წამლებითა და სხვა. საჭიროა ახალი მრავალი მსხვერპლი. შემომწირველთ უნდა მიმართონ კომიტეტს, მოხოვაია, 42. აქვე შეუძლიანთ მიიღონ ცნობები და „პრიზრენიე რანენ-ხ“-ის ნომრები, სადაც იბეჭდება წესი და პირობები ავადმყოფთა დაბინავების შესახებ.

ტოკიო, 19 მარტი. ბანკირების კანტორების ცნობებით, იაპონიის ახალ სესხზე 400 მილიონის მსურველთ მოუწერიათ ხელი. სულ კი უნდა განაღდებულიყო ასი მილიონი, რომელსაც ხელის მოწერა ექვსჯერ გადააჭარბებს. რუზველტის შუამავლობის შესახებ ტოკიოს გაზეთები ამბობენ, ეს ჭორი რუსების საფინანსო აგენტების მოგონილია იმ განზრახვით, რომ რუსეთისთვის პარიზში ეშოვნათ ვალიო. აქაური მცოდნე კაცები ამბობენ, ეს ხმა ყოვლად უსაბუთოაო. იაპონიას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი განაგრძოს ომი.

გუნჟულინ, 19 მარტი. ჩვენის უკანდაწევით წათამამებული იაპონელები ძალიან კადნიერდებიან. მარჯვენა ფრთეზე იაპონიის მზვერავმა რაზმმა ჩვენს რაზმზე იერიში მოიტანა. მიშჩენკოს კავალერისტებმა იაპონელები გაჰფანტეს და შვიდიც ტყვედ ჩაიგდეს.

პერიმ, 19 მარტი. რუსის ხუთი სამხედრო გემი და ერთიც საბუქსირო ჯიბუტს წავიდნენ; თან სამი სავაჭრო გემი მისდევდა.

ლონდონი, 19 მარტი. იაპონიის საელჩომ დეპეშა მიიღო, იაპონიის 100 მილიონიან სესხზე 500 მილიონისა მოაწერესო; იქიდან 70 მილიონს იმაზე ძვირად იღებენ, როგორც თვით მთავრობას ჰქონდა გამოცხადებული.

შანჰაი, 20 მარტი. სეულიდან იწერებიან, გენერალმა ხასეგავამ აკრძალა მამულების გაყიდვა და იჯარით გაცემა ჩრდილო-კორეაში, სეულ-იჯუს შორის, რადგან სამხედრო საჭიროებისთვის უნდა ჩარჩესო.

პეტერბურგი, 20 მარტი. **ოფიციალურად.** **«შეწევნითა ღვთისათა, ჩვენ, ნიკოლოოზ მეორე, იმპერატორი და თვითმპყრობელი სრულიად რუსეთისა, მეფე პოლონეთისა, დიდი მთავარი ფინლიანდიისა და სხვათა და სხვათა და სხვათა, ვაცხადებდთ ამით, რომ შევიწყნარეთ უქვეშევრდომილესი შუამდგომლობა ფინლიანდიის საერობო დაწესებულებათა სამხედრო საქმის მოწყობის შესახებ ფინლიანდიაში და, მივიღეთ რა მხედველობაში რომ საბოლოოდ გადაწყვეტა ამ შუამდგომლობისა შეუძლებელია, ვიდრე არ დამთავრდება შრომა იმ კომისიისა, რომელმაც უნდა განსაზღვროს საერთოდ სახელმწიფოს და კერძოდ ფინლიანდიის საკანონმდებლო უფლებანი,—ჩვენ საკეთილოდ ვსცანით დროებით შეჩერებულ იქმნას 29 ივნისს (12 ივლისს) 1901 წ. დამტკიცებულ სამხედრო ბეგრის დებულების მოქმედება ფინლიანდიაში იმ პირობებით, რომლებიც განმარტებულია ჩვენს ბრძანებაში საერობო დაწესებულებათადმი“.**

ნამდვილს მის იმპერატორებითის უდიდებულესობის ხელით აწერია „**ნიკოლოოზ**“, ცარსკოე სელო.

აღნიშნულ ბრძანებით ფინლიანდიის ხაზინას დაევალა 1905 წლის 1 იანვრიდან 1907 წლის გასვლამდე აძლიოს სახელმწიფოს ხაზინას ყოველ წელს დასახმარებლად სამხედრო საჭიროებისთვის, იმა ქვეყნის შეძლების კვალობაზე, მხოლოდ ათი მილიონი მარკა.

უმაღლესი დადგენილება. ხელმწიფე იმპერატორმა, ფინლიანდიის საერობო დაწესებულებათა წარდგენით, თავის თანადასწრებით ცარსკოე სელოში 18 მარტს (29) 1905 წ. უმაღლესად ბრძანა გაუქმებულ იქმნას 1 აგვისტოს (14) დამტკიცებული დროებითი დებულება სასამართლოს უწყების მოხელეთა სამსახურიდან დათხოვნის წესის შესახებ,

პარიზი. „ფიგარო“ ირწმუნება, ბულგარიის მთავარი პარიზს მოვა, როდესაც აქედან ოსმალის მეფე წავა. მთავარს ოფიციალურად [illegible] პრეზიდენტი და მთავრობა და სამეფო [illegible] გაუწევენო.

ლისაბონი. პრეზიდენტი ლუბე ისპანიის მეფესთან წავა სადარბაზოდ და შემდეგ პორტუგალიის მეფე-დედოფალს ეწვევაო.

კანეა, 19 მარტი. უცხოელების ჯარები დღეს დილის 10 საათზე გავიდნენ კანეადან, სამხედრო ქარავნებით და საურსათით. ამბობენ, ინგლისი ჯარს არ გადმოიყვანსო. ინგლისის ესკადრა, რომელშიაც 7 გემია, სუდის ნავთსადგურში არის. საფრანგეთის პოლკოვნიკმა, რომელიც უცხოელთა ჯარების სარდალიცაა, შეატყობინა აჯანყებულებს, რომ მას მინდობილი აქვს მოლაპარაკოს, იქნება შეთანხმება მოხდესო, და სანეიტრალო მიდამოში მიიწვია.

ბაქოში. მომრიგებელმა მოსამართლემ გაარჩია რამდენიმე საქმე 7 თებერვლის მომხდარ არეულობის გამო და ყველა გაამართლა, ვისაც მოსწავლეთა დაწიოკება ბრალდებოდა. პეტერბურგიდან ჩამოსული ადვოკატები ამაოდ სცდილობდნენ პოლიციის გამტყუნებინათ, ვითომც დაწიოკება იმან მოაწყო. გაზეთში ეს ამბავი გაზვიადებული იყო.

რიგა. საქალაქო არჩევნებზე ცხარე ბრძოლა იმით გათავდა, რომ რუს-გერმანელთა პარტიამ დაამარცხა ლატიშების პარტია.

ოდესა. ახალ სესხიდან ოდესის ბანკებმა 2 მილიონი დაიგულეს.

ტანჟერი, 19 მარტი. იმპერატორმა სთქვა, გერმანიას თვრამდ დიდი სავაჭრო ინტერესები აქვს მაროკოშიო. იმპერატორმა განაცხადა, ხელს შევუწყობ ვაჭრობას, თუ ყველა სახელმწიფოს თანასწორი უფლება ექნება სულთანის სამფლობელოში და მაროკო დამოუკიდებელი იქნებაო. გერმანიის რწმუნებული მაროკოში კაულმანი იმპერატორს გიბრალტარამდე ახლდა. ამ გარემოებას დიდს მნიშვნელობას აძლევენ.

პარიზი. დელკასემ სთქვა სენატში, მთავრობა ვერ დასთმობს, რომ აბაშეთის რკინის გზებს საერთაშორისო ხასიათი ჰქონდეს, ჯიბუტის პორტ-ფრანკოდ გადააკეთებს, თუ საჭიროდ დაინახავს, საერთაშორისო მორიგება კი ამ საქმეში საჭიროდ არ მიაჩნია, და ხელს შეუწყობს, რომ ეთიოპია დამოუკიდებლად დარჩესო.

პარიზი. „ტანი“ ამტკიცებს, რომ გერმანია იმ დროს, როცა ინგლის-საფრანგეთის ხელშეკრულობა იწერებოდა მაროკოს შესახებ, სხვა აზრისა იყო, ეხლა კი აზრი შეუცვლიათ.

სოფია. სერბია და ბულგარია, რომელთაც უთანხმობა ჰქონდათ სადამოჟნო ტარიფის გამო, შეურიგდნენ და გადასწყვიტეს ახალი ხელშეკრულობა დასდონ.

ხარკოვი. ნოქრების კრებამ დელეგატები აირჩია, რომლებმაც მონაწილეობა უნდა მიიღონ რჩევაში, ფინანსთა მინისტრის ამხანაგის თავმჯდომარეობით, ახალ კანონის შესამუშავებლად სამუშაო დროის და კვირა-უქმეობით შესვენების შესახებ.

ბელოსტოკი ვაჭართა და ნოქრების უკანასკნელ კრებამ შეიმუშავა პირობები ნოქართა მდგომარეობის გაუმჯობესობისა.

პეტერბურგი. „ნოვოე ვრემიას“ დეპეშა მისვლია აილტიდან, რომ «პეტერბურგის სააგენტოს» ცნობა სახადის შესახებ მართალი ყოფილა. ოფიციალური ცნობა კი ტყუილი გამოდგა.

დროებითი რედაქტორი **ფ. გოგიჩაიშვილი.**

გამომცემელი **თ. პავლე ი. თუმანიშვილი.**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის.

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევს 4 ს. 20 წ. (5 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევს 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევს 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № (3 ნაშუადღევს 3 ს. 05 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევს 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადღევს 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

6 **ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 1 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის.

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 50 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევს 2 ს. 20 წ. 3 ს. 18 წ.; 4) სამგზავრო № 57 საღამოს ს. 206 წ. (7 ს. 18 წ.)

Дозволено цензурою, Тифлисъ, 20 марта 1905 г

ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“ ფრეილინის ქ. № 5.